

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა

მინისტრის ბრძანება №903

2009 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

**საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე**

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ივნისის №275 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 თებერვლის ბრძანება №137 - ვებგვერდი, 12.10.2015 წ.](#)

1. დამტკიცდეს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანდართული დებულება.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

**ბ. კალმახელიძე**

**არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება**

**თავი I . ზოგადი დებულება**

**მუხლი 1**

1. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) შექმნილია „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს

2. პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და ამ დებულების საფუძველზე .

3. პრობაციის ეროვნულ სააგენტოს აქვს დებულება, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით, დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი ხარჯთაღრიცხვა და სათანადო ანგარიში საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში, საბანკო ანგარიშები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა. სააგენტოს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სააგენტოს თანამდებობის პირთა და მოხელეთა სავიზიტო ბარათებზე, სამინისტროს ბეჭდვით გამოცემებსა და სუვენირებზე.

5. პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №42.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 6 თებერვლის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 06.02.15 წ.](#)

**თავი II. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნები და უფლებამოსილებანი**

**მუხლი 2**

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნებია : სასჯელის აღსრულება , ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ( მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია ).



### მუხლი 3

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის, საჯაროობის, სააგენტოს სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მიუხედავად მისი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

3. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლის შრომითი უფლებები დაცულია კანონით.

### მუხლი 4

პრობაციის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია:

ა) ორგანიზება გაუკეთოს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების (შემდგომში – პრობაციის ბიურო) მიერ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანებების და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესრულებას;

ბ) შეიმუშაოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტები;

გ) შეიმუშაოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის სამუშაო დოკუმენტები და სტანდარტები;

დ) ორგანიზება გაუკეთოს პრობაციის ბიუროს ოფიცერთა (შემდგომში – პრობაციის ოფიცერი) კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს და ტრენინგებს;

ე) შეიმუშაოს მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის საჭირო პროგრამები და მოახდინოს მათი პრაქტიკაში დანერგვა;

ვ) განახორციელოს პრობაციის ოფიცერთა საქმიანობის რევიზია და კონტროლი;

ზ) გამოითხოვოს პრობაციის ბიუროებიდან საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები;

თ) განიხილოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა მიმართ შემოსული საჩივრები და განცხადებები;

ი) აწარმოოს სტატისტიკა და განახორციელოს საქმიანობის ანალიზი;

კ) დაამყაროს საქმიანი სამართლებრივი ურთიერთობები საჯარო ხელისუფლების სხვა სტრუქტურებთან, ითანამშრომლოს არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო, საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებთან;

ლ) დადოს ხელშეკრულება ორგანიზაციებთან, სოციალურ დაწესებულებასთან ან ცალკეულ პირებთან;

მ) საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და მოვალეობები, დადოს გარიგებები, საკუთარი სახელით გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ და მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ნ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

## თავი III. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობა და მართვა

### მუხლი 5

1. პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი (შემდგომში – სააგენტოს უფროსი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობას, ანაწილებს მოვალეობებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ბ) ხელმძღვანელობს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს, ზედამხედველობას უწევს ტერიტორიულ ორგანოებს, მათ მიერ მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას, საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას;

გ) იღებს გადაწევი ვეტილებებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

დ) (ამოღებულია - 04.03.14 №20);

ე) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახელით კომპეტენციის ფარგლებში დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების



ხელმძღვანელთა, ასევე სხვა თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნას, გათავისუფლებას, სამსახურში აღდგენას, კომპეტენციის ფარგლებში „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭებას, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, დადგენილი წესით აღძრავს შუამდგომლობას განსაკუთრებით წარჩინებული თანამშრომლების სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის თაობაზე, ადგენს სამსახურებრივი მოწმობების ფორმას და დადგენილი ნიმუშის მიხედვით გასცემს სამსახურებრივ მოწმობებს;

ვ<sup>1</sup>) მინისტრის წერილობითი თანხმობით ახორციელებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა, ასევე სხვა თანამშრომელთა წახალისებასა (ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სამოქალაქო ან სამსახურებრივ - სამტატო იარაღით დაჯილდოება) და პრემირებას;

ზ) პასუხისმგებელია პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლების მიზნობრივ გამოყენებაზე;

თ) ამტკიცებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამტატო განრიგს მინისტრთან შეთანხმებით;

ი) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს;

კ) ამტკიცებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს შინაგანაწესს, საქმისწარმოებისა და სტატისტიკური ანგარიშის ფორმებს;

ლ) ამტკიცებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობას;

მ) ამტკიცებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს სისტემაში სტაჟირების გავლის წესს, ნიშნავს და ათავისუფლებს სტაჟირებს;

ნ) უფლებამოსილია კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, აიყვანოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამტატო განრიგით გაუთვალისწინებელი თანამშრომლები;

ნ<sup>1</sup>) უფლებამოსილია საჭიროების მიხედვით განსაზღვროს პრობაციის ბიუროში პრობაციის ოფიცერთა ჯგუფები სპეციალიზაციით;

ნ<sup>2</sup>) უფლებამოსილია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შექმნას კომისიები და სამუშაო ჯგუფები;

ო) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახელით დებს გარიგებებს და გასცემს მინდობილობებს;

პ) შეიმუშავებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ყოველწლიურ ბიუჯეტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს;

პ<sup>1</sup>) უფლებამოსილია მოახდინოს სააგენტოს უფროსის მოადგილეებსა და სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების უფროსებზე მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ცალკეული უფლება-მოვალეობების დელეგირება;

ჟ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოქმედების შეზღუდვის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ეკონომიკური ინტერესების დეკლარირების წესები განისაზღვრება [„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით](#).

4. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო სხვა საკითხები, ასევე სააგენტოს თანამშრომლების შრომითი ურთიერთობები – სპეციალური კანონმდებლობით.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 06.01.2011 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 05.03.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის ბრძანება №96 - ვებგვერდი, 29.05.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 20 ივლისის ბრძანება №57 - ვებგვერდი, 21.07.2017 წ.](#)

### მუხლი 6

1. სააგენტოს უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომელსაც საქართველოს მინისტრთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებებს ანაწილებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

3. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე:

ა) ხელმძღვანელობს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს;



ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისაგან და ბიუროს უფროსებისგან პერიოდულად მოითხოვს ანგარიშს მიმდინარე და გაწეული მუშაობის შესახებ;

გ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით აკონტროლებს პრობაციის ბიუროების საქმიანობას და მათი მუშაობის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას;

დ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით აწარმოებს სტატისტიკას და ანალიზს;

ე) უზრუნველყოფს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას სააგენტოს მიერ განსახორციელებელი თუ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

ვ) ასრულებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის ცალკეულ დავალებებს;

ზ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 16 ნოემბრის ბრძანება №133 - ვებგვერდი, 17.11.2016 წ.](#)

## თავი IV. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურა და უფლებამოსილებანი

### მუხლი 7

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურა შედგება სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოებისგან – პრობაციის ბიუროებისაგან, რომელთა მეშვეობით სააგენტო უზრუნველყოფს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციული სამმართველო;

ბ) ეკონომიკური სამმართველო;

გ) აღსრულების კონტროლის, სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო;

დ) საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;

ე) სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო;

ვ) ელექტრონული ზედამხედველობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო.

3. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებია:

ა) თბილისის პრობაციის ბიურო;

ბ) იმერეთის პრობაციის ბიურო;

გ) ქვემო ქართლის პრობაციის ბიურო;

დ) შიდა ქართლის პრობაციის ბიურო;

ე) კახეთის პრობაციის ბიურო;

ვ) გურიის პრობაციის ბიურო;

ზ) სამეგრელოსა და ზემო სვანეთის პრობაციის ბიურო;

თ) მცხეთა - მთიანეთის პრობაციის ბიურო;

ი) სამცხე - ჯავახეთის პრობაციის ბიურო;

კ) რაჭა - ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პრობაციის ბიურო;

ლ) აჭარის პრობაციის ბიურო;

მ) სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 06.01.2011 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №370 - ვებგვერდი, 30.12.2013 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 05.03.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 01.02.2016 წ.](#)

### მუხლი 8

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

2. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამმართველოს საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;

გ) ახორციელებს კონტროლს სამმართველოს მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე;

დ) ხელს აწერს და ვიზას ადებს სამმართველოში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის წარუდგენს ანგარიშს სამმართველოს საქმიანობის შესახებ;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსისა და კურატორი



მოადგილის სხვა დავალებებს.

2<sup>1</sup>. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები დაკომპლექტებულია მრჩეველებითა და უფროსი სპეციალისტებით.

2<sup>2</sup>. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკურ სამართველოს ჰყავს ბუღალტერი.

2<sup>3</sup>. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ჰყავს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.

2<sup>4</sup>. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გადიან სპეციალურ სასწავლო კურსს, რომლის დასრულებისას აბარებენ შესაბამის გამოცდას.

3. (ამოღებულია - 04.10.11 №173).

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 06.01.2011 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 05.03.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 23 თებერვლის ბრძანება №150 - ვებგვერდი, 24.10.2014 წ.](#)

## მუხლი 9

1. ადმინისტრაციული სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში; ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებლობასთან; პრობაციის ეროვნული სააგენტოს კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა სასამართლო ინსტანციებში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ადმინისტრაციულ სამმართველოს აქვს ბეჭედი წარწერით: პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული სამმართველო;

ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს საკადრო საკითხების დარეგულირება, ნომენკლატურის ფარგლებში თანამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანის, სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების, მოსამსახურეთა წახალისებისა და დაჯილდოების შესახებ მასალების განხილვა, მომზადება და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსისათვის წარდგენა, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მუშაობის დამადასტურებელი ცნობის გაცემა, წინადადებების შემუშავება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე, ასევე უფლებამოსილების ფარგლებში პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების დადგენილი ნიმუშის სამსახურებრივი პირადობის მოწმობების მომზადება;

გ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის სტრუქტურული სრულყოფისა და რეორგანიზაციის, საშტატო ერთეულების რაოდენობის ოპტიმიზაციისა და მათი რაციონალურად გამოყენების შესახებ წინადადებების მომზადება;

დ) სამუშაოს აღწერილობის ფორმის შემუშავებას და სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა თანამდებობის პირის სამუშაოს აღწერილობის მომზადება;

ე) სამუშაოს აღწერილობის შესაბამისად, ადეკვატური კადრების მოძიება, მოზიდვა, შერჩევა, დაქირავება, ასევე მოხელეთა საკადრო რეზერვის შექმნა და მათ მიზნობრივი გამოყენება;

ვ) დადგენილი წესის შესაბამისად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში სტაჟირების გავლის ორგანიზება და სტაჟირების საბოლოო შეფასებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) თანამშრომელთა განვითარებაზე ზრუნვა – სასწავლო საჭიროებების მუდმივად განსაზღვრა და ამ საჭიროებების შესაბამისი სასწავლო პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა;

თ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის მომსახურეთათვის ჩასატარებელი ატესტაციის ორგანიზება;

ი) თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა;

კ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსისა და ატესტაციის გამართვის ორგანიზება;

ლ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს შინაგანაწესის შემუშავება და მისი შესრულების კონტროლის განხორციელება, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი;

მ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემაში კადრების აღრიცხვა;

ნ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის მოსამსახურეთა წელთა ნამსახურობისა და შრომის სტაჟის გამოთვლა, პირადი საქმეების აღრიცხვა - დამუშავება, ასევე საარქივო პირადი საქმეების აღრიცხვის და შესაბამისი საცნობარო ბაზის შექმნა;

ო) მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოწმობების გაცემა და პრობაციის ოფიცრის თანამდებობაზე დანიშვნისას, მისთვის სამსახურებრივი ბეჭდის გადაცემა;

პ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის ფარგლებში, სამოქალაქო თავდაცვისა და სამობილიზაციო ღონისძიებების განხორციელება;

ჟ) მსჯავრდებულთა პირადი საქმეების დადგენილ ნომენკლატურასთან შესაბამისობაში მოყვანის და დასრულებული საქმეების არქივში შენახვის უზრუნველყოფა;



- რ) პრობაციის ბიუროებიდან საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების გამოთხოვა;
- ს) პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა, დამუშავება და განაწილების უზრუნველყოფა;
- ტ) მოქალაქეთა და სხვა სტუმართა მიღების ორგანიზება;
- უ) პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება;
- ფ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება;
- ქ) პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საქმისწარმოების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
- ღ) საქმისწარმოების და დასრულებული საქმეების დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და სათანადო წესით შენახვა (დაარქივება);
- ყ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემა;
- შ) პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შემოსული „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხით“ გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღება-დამუშავება და კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვა;
- ჩ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება;
- ც) არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებასა და პრობაციასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტების მომზადება და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსისათვის წარდგენა;
- ძ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული დავების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- წ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახელით გამოსაცემი სამართლებრივი ხასიათის, სახელმძღვანელო თუ სარეკომენდაციო მასალების მომზადება;
- ჭ) (ამოღებულია - 04.03.14 №20);
- ხ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.
2. (ამოღებულია - 04.10.11 №173).
3. (ამოღებულია - 04.10.11 №173).
4. (ამოღებულია - 04.10.11 №173).
5. (ამოღებულია - 04.10.11 №173).
6. ეკონომიკური სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება:
- ა) ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ბ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
- გ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების მოვლა-პატრონობა;
- დ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;
- ე) პრობაციის ეროვნული სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ვ) კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.
7. აღსრულების კონტროლის, სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება:
- ა) გეგმურად ან არაგეგმურად შეამოწმოს პრობაციის ოფიცრების/თავისუფლების შეზღუდვის ოფიცრის მიერ მსჯავრდებულთა პირადი საქმისწარმოების მიმდინარეობა და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა, შემოწმების შედეგების შესახებ შეადგინოს დასკვნა და წარუდგინოს სააგენტოს უფროსს;
- ბ) ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლებს ჩამოართვა ახსნა-განმარტება;
- გ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მიაწოდოს რეკომენდაციები პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსს;
- დ) გადასცეს შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის ასლი დაინტერესებულ მხარეს;
- ე) კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს განცხადებები და საჩივრები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;
- ვ) მოითხოვოს სტატისტიკური ანგარიში და მოახდინოს სტატისტიკური მონაცემების შეჯამება და სისტემაში მოყვანა;
- ზ) შეაგროვოს პრობაციის ბიუროების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოახდინოს შესაბამისი ანალიზი და კონტროლი;
- თ) შეიმუშაოს სტატისტიკური ფორმები;
- ი) განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.
8. საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება:
- ა) სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა პოლიტიკის ფარგლებში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობით დაინტერესებულ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ევროკავშირისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ანალოგიურ სისტემებთან აქტიური ურთიერთობა;
- ბ) კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი პროექტების მომზადება;



გ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის დავალებით, სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად საერთაშორისო ვიზიტების დაგეგმვა-ორგანიზება;

დ) საერთაშორისო ურთიერთობების ამსახველი მასალების მომზადება, უცხოეთიდან მიღებული (მოძიებული) კორესპონდენციის (ინფორმაციის) შესაბამისი დამუშავება, გავრცელება და სათანადო ფორმით ხელმძღვანელობისათვის მიწოდება;

ე) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემისა და მისი უფროსის ურთიერთობის კოორდინირება;

ვ) საზოგადოების ინფორმირება პრობაციის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის მიმდინარეობისა და სიახლეების შესახებ;

ზ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის დამუშავება;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსისა და კურატორი მოადგილის სხვა დავალებების შესრულება.

9. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო უზრუნველყოფს:

ა) პრობაციის ეროვნული სააგენტოს იურისდიქციაში მყოფ მსჯავრდებულთა, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განრიდებულთა კვალიფიციური ინდივიდუალური ბიო-ფსიქოსოციალური შეფასების ორგანიზებას;

ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში ფსიქოსოციალური, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამების მოდელეების შემუშავება-ადაპტირებას, განხორციელებას და მართვას;

გ) რეაბილიტაციის სფეროში, საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;

დ) სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების პერიოდული პროფესიული გადამზადების ორგანიზებას;

ე) მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით, პროფესიული სტანდარტების შემუშავებას და დანერგვას;

ვ) რეაბილიტაციის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა-ფუნქციონირებას;

ზ) მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და რეაბილიტაციის მიმართულებით სასჯელაღსრულების სისტემასთან კოორდინირებული თანამშრომლობის ხელშეწყობას;

თ) საჭიროების შემთხვევაში, პირობით მსჯავრდებულისათვის გამოსაცდელი ვადის შემცირებისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის გადასაწყვეტად, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;

ი) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა, შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას.

10. ელექტრონული ზედამხედველობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება:

ა) პრობაციის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;

ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს სერვერული ცენტრებისა და კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების დაცვა და ადმინისტრირება, კომპიუტერული და სხვა ელექტრონული ტექნიკის გამართული ფუნქციონირება;

გ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის უზრუნველყოფა;

დ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ცენტრალიზებული ბაზების მონიტორინგი, ლოკალურ და ცენტრალიზებულ ბაზებში არსებული შეცდომების გასწორება, მათი შევსება-სრულყოფა, საქმისწარმოების ბაზების და პროგრამების ადმინისტრირება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და მათი პროგრამული უზრუნველყოფა;

ე) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ვ) ელექტრონული ზედამხედველობის სისტემის ადმინისტრირება და ამ სისტემაში ასახული შეტყობინებების გადამისამართება შესაბამისი პრობაციის ბიუროებისათვის;

ზ) ვიდეოპაემნის სერვისის ტექნიკური უზრუნველყოფა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფა და მათი ადმინისტრირება;

ი) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის წარმოება-განახლების მიზნით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებიდან და ტერიტორიული ორგანოებიდან მოწოდებული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება;

კ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირება;

ლ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს შენობაში და მის ტერიტორიულ ორგანოებში მომუშავე თანამშრომელთა სამსახურში მოსვლისა და სამსახურიდან წასვლის აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება;

მ) პრობაციის ეროვნულ სააგენტოში პროგრამული საშუალებების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით, პროგრამული საშუალებების პერიოდული მონიტორინგი;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსისა და კურატორი მოადგილის სხვა დავალებების შესრულება.

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 იანვრის ბრძანება №4 - ვებგვერდი, 06.01.2011 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)



[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №370 - ვებგვერდი, 30.12.2013 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 4 მარტის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 05.03.2014 წ.](#)

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის ბრძანება №8 - ვებგვერდი, 01.02.2016 წ.](#)

### **მუხლი 10 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

### **მუხლი 11 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

### **მუხლი 12 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

### **მუხლი 13 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

### **მუხლი 14 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

### **მუხლი 15 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

### **მუხლი 16 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

### **მუხლი 17 (ამოღებულია)**

[საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 12.10.2011 წ.](#)

## **თავი V. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ქონება და სახელმწიფო კონტროლი**

### **მუხლი 18**

პრობაციის ეროვნულ სააგენტოს დასახული მიზნების განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა სახელმწიფო ქონება.

### **მუხლი 19**

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლები;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. აკრძალულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახსრების სხვა მიზნით გამოყენება.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

### **მუხლი 20**

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხარჯთაღრიცხვა მტკიცდება სააგენტოს უფროსის მიერ მინისტრთან შეთანხმებით, წლიური საბიუჯეტო კანონის შესაბამისად.

2. პრობაციის ეროვნულ სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

3. სამინისტრო უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

### **მუხლი 21**

1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, ახორციელებს სამინისტრო.

2. პრობაციის ეროვნულ სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.





3. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

## **მუხლი 22**

1. სამინისტროს თანხმობით პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები პრობაციის ეროვნული სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება საჭიროებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობას.

[საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 17 თებერვლის ბრძანება №14 - ვებგვერდი, 18.02.2014 წ.](#)

